მემორანდუმი

თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კომპანია "საფერავი ტვ"-ს შორის

ხელშეკრულების მხარეები – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში "აკადემია") პრეზიდენტის, აკად. გ. ალექსიძის სახით და ტელეკომპანია "საფერავი ტვ", დირექტორის დ. კოსტარიოვის სახით. აგრარული მეცნიერების, ინოვაციების და მოწინავე ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გააქტიურების და პროპაგანდის მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

ხელშეკრულების საგანი

აკადემიასა და კომპანია "საფერავი ტვ"-ს შორის თანამშრომლობა დაეფუძნება მეცნიერების, განათლების და ტელეჟურნალისტიკის სისტემის ურთიერთსაინტერესო სფეროებს. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება საერთო ინტერესებისა და თანაბარი ურთიერთობის საფუძველზე.

მუხლი 2.

მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. ერთობლივად შექმნან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიდეო ენციკლოპედია.
2. ხელი შეუწყონ რეფორმების განხორციელებას სოფლის მეურნეობაში.
3. ხელი შეუწყონ ინფორმაციის შემდგომ პოპულარიზაციას და გაზიარებას აგრარულ სფეროში;
4. ერთობლივად ჩაატარონ შეხვედრები, სემინარები, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები აგრარული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საკითხებზე;

5. გაატაროს ღონისძიებები შესაბამის სამთავრობო, საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში თანამშრომლობის და კომპეტენტური მასალების მოპოვების საქმეში;

6. შეიმუშაოს ერთობლივი ღონისძიებები ფერმერთა და მენეჯერთა მომზადებისათვის;

7. შეიმუშაოს ღონისძიებები ურთიერთსაინტერესო პროექტების და პროგრამების მომზადებისათვის და მიიღოს ერთობლივი მონაწილეობა მათ შესრულებაში;

8. ხელი შეუწყოს აგრარულ სფეროში პროექტებისა და პროგრამების რეკლამირებას და შემდგომში მათი გავრცელების საკითხების მიმდინარეობას;

9. აკადემიამ და კომპანია "საფერავი ტვ"-მ შეთანხმების საფუძველზე ხელი უნდა შეუწყონ აგრარული სფეროს პრობლემებზე ინფორმაციის შეგროვებას, შესაბამისი ვიდეო მასალის შექმნასა და შეთანხმების შემთხვევაში მათ გასვლას ეთერში.

მუხლი 3.

ზოგადი დებულებები

მხარეებს უფლება აქვთ მემორანდუმის ტექსტში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები. ცვლილებები და დამატებები ძალაში შევა შესაბამისი ოქმის ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 4.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. თუ ხელშკრულების ვადის გასვლამდე 3 (სამი) თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ითვლება გაგრძელებულად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით პრეზიდენტი

აკად. გ.ალექსიძე

ტელეკომპანია "საფერავი ტვ"-ის სახელით დირექტორი

ნ. კოსტარიოვო

თბილისი

23 თებერვალი 2016 წელი